



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 13

2017 წლის 29 ივნისი

ქალაქი ახალციხე

“ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ” ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება “ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ” ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №19 დადგენილების (ვებგვერდი 24/07/2014, სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.138.016144) დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული სახით

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 01 ივლისიდან.

ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
დროებით შემსრულებელი

გელა ნოზაძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა
თანამდებობრივი სარგოების ოდენობა

#	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	პოლიტიკური თანამდებობის პირი - ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი	2650
2	პოლიტიკური თანამდებობის პირი - გამგებლის პირველი მოადგილე	2150
3	პოლიტიკური თანამდებობის პირი - გამგებლის მოადგილე	1750
4	პოლიტიკური თანამდებობის პირი - გამგებლის მოადგილე	1300
5	I რანგი - საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი	1250
6	I რანგი - საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1000
7	II რანგი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	800
8	III რანგი - II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	560
9	III რანგი - III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	540
10	IV რანგი - I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	530
11	IV რანგი - II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	520